პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

3 ივნისი კვირა 1973 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 129 (15646)

— როგორ ემზადებით არჩევნებისათვის? —



ამ დღეებში გამოცცხლებულა № 2 საარჩევნო უბანში, რომელიც თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტშია მოთავსებული. საარჩევნო უბნის აგიტატორები და პოლიტინფორმატორები ხშირად ხვდებიან ამომრჩევლებს, ატარებენ მათთან საუბრებს.

ამ სურათზე აღბეჭდილია № 2 საარჩევნო უბნის აგიტატორთა ჯგუფი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

განვამტკიცოთ დისციპლინა, განვავითაროთ სოციალისტური შეჯიბრება სოფლად

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობაში სახელმწიფო, პარტიული, შრომის დისციპლინის მდგომარეობისა და სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობის შესახებ“, რომელშიც აღნიშნავს, რომ სოფელ ზემო მაჩხაანის ლენინის ორდენოსანი კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაცია და გამგეობა, ასრულებენ რა პარტიის XXIV კრებისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებს სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების თაობაზე, ეწევიან გარკვეულ ორგანიზატორულ მუშაობას, რათა გამამკაცრონ სახელმწიფო, პარტიული და შრომის დისციპლინა, უზრუნველყონ საზოგადოებრივი წარმოების შემდგომი აღმავლობა და ინტენსიფიკაცია. მეცნიერთა, სპეციალისტთა, წარმოების ნოვატორთა მონაწილეობით შემუშავებულია და ხორციელდება წარმოების ხელახალი ტექნიკური აღჭურვის, მიწის, მატერიალური და შრომითი რესურსების უკეთ გამოყენების ღონისძიებანი.

მემცენარეობაში ხორციელდება მიწათმოქმედების კულტურის ამაღლების ღონისძიებათა კომპლექსი. კოლმეურნეობაში აითვისეს სწორი თესლბრუნვა, მოაგვარეს მეთესლეობის საქმე, უზრუნველყვეს სარძეო-სასაქონლო ფერმისა და ბრიგადების გამსხვილება და მექანიზაცია, მოაწყვეს პირუტყვის სუქება.

კოლმეურნეობის გამგეობისა და პარტიული ორგანიზაციის ყურადღების ცენტრში მოდამ არის განქანა-ტრაქტორთა პარკის ნაყოფიერების ამაღლებისა და მინდვრის სამუშაოთა ხარისხის გაუმჯობესების საკითხები. კოლმეურნეობაში მთლიანად მექანიზებულია მარცვლეულისა და მზესუმზირას წარმოება, აგრეთვე ცხრის პარკი. 1.360 ჰექტარიდან მანქანურ წველაზე გადაყვანილია 1.020 სული.

ორგანიზატორული მუშაობის გაძლიერებამ, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის კულტურის განუწყვეტელმა სრულყოფამ დადებითი გავლენა მოახდინა საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებაზე. კოლმეურნეობა ეფექტიანად იყენებდა პარტიისა და სახელმწიფოს ყოველმხრივ დახმარებას და კიდეც მიაღწია სერიოზულ წარმატებებს ეკონომიკის განმტკიცების, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდების საქმეში.

1972 წელს მარცვლოვანთა მოსავიანობამ კოლმეურნეობაში შეადგინა 26,9 ცენტნერი, სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მოყიდვის გეგმა შესრულდა 266 პროცენტით, მზესუმზირასი — 135, ბრინჯისა — 129, მატყლისა — 107, რძისა — 128 პროცენტით, სახელმწიფოს მიჰყიდეს დავალებაზე სამჯერ მეტი კვერცხი. გადიდდა სასოფლო-საბიუნეო პროდუქტების პროდუქტიულობა. საშუალოდ ძროხაზე საგეგმო 2.500 კილოგრამის ნაცვლად მიღებულია 2.601 კილოგრამი რძე.

გასულ წელს კოლმეურნეობის საერთო შემოსავალმა შეადგინა 4.4 მილიონი მანეთი, ნაცვლად საგეგმო 3,1 მილიონისა. მიღებულია 1.3 მილიონი მანეთი წმინდა შემოსავალი. განუყოფელი ფონდი გაიზარდა 9 მილიონ მანეთამდე. 1972 წელს კოლმეურნეობა შრომის ნაყოფიერება 10 პროცენტით გაიზარდა. მარშან კაცდღის ანაზღაურებამ შეადგინა 9 მანეთი და 13 კაპიკი, ხოლო თვეში საშუალო ხელფასმა — 171 მანეთი.

კოლმეურნეობის წარმატებას დიდად უწყობდა ხელს ფართოდ გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება. „სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება გახდა შრომითი მეტოქეობის ახალი აღმავლობის მძლავრი სტიმული. თვითეულმა მწველავმა და მეველანემ, ძროხის მომვლელმა და მებოსტნემ, მწყემსმა და მექანიზატორმა, ბრიგადამ და ფერმამ მაღალი ვალდებულებანი იკისრა. ფართოდ არის გაშლილი შეჯიბრება ამავე რაიონის სოფელ ჯიკურიძის კოლმეურნეობასა და ქისანოდის ბზარის ეისუსკის რაიონის გაზრის მემარცვლეობის საბჭოთა მეურნეობასთან. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა შეჯიბრების საჯაროობას, ქმედითობასა და ეფექტიანობას. ყოველთვიურად აჯამებენ სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს, ავლენენ ინიციატიულ ბრიგადებს, ადგენენ ინიციატიულ ბრიგადებს, ადგენენ ინიციატიულ ბრიგადებს, ადგ

განვამტკიცოთ დისციპლინა, განვავითაროთ სოციალისტური შეჯიბრება სოფლად

(დასასრული).

მეცხოველეობის ბრიგადები სარგებლობდნენ იმით, რომ კოლმეურნეობის პარტორგანიზაცია და გამგეობა კონტროლს არ უწევდნენ იმას, რომ შესუსტდა სახელმწიფო და შრომის დისციპლინა, შემოსავლში არ ატარებდნენ მონაშენს, მიმართავდნენ წამატებებს. სარძეო-სასაქონლო ფერმის ბრიგადებში იყო მეწველი ძროხების დამალვის შემთხვევები.

მონაშენის საშუალო მაჩვენებლის ხელოვნური გადიდების მიზნით ანალოგიური დარღვევები აღმოჩნდა მეღორეობის ფერმაში.

ცუდად მუშაობს კოლმეურნეობის სარევიზიო კომისია, რომელიც არ აწყობს შემოწმებებს, ხოლო მის მიერ შედგენილ აქტს სამეურნეო წლის შედეგების შესახებ ზერელე, ფორმალური ხასიათი აქვს და მხოლოდ ზოგიერთი ნაკლის აღრიცხვასა და სტატისტიკური მონაცემების ჩამოთვლას სჭერდება.

მეურნეობაში არადამაკმაყოფილებლად წარმოებს ეკონომიური შუშაობა. მეურნეობის მართვის მოწინავე მეთოდებისადმი კონსერვატიულ დამოკიდებულებას ის მოჰყვა, რომ მეცნიერთა მიერ შემუშავებული შიდასამეურნეო ანგარიში ფაქტიურად არ დანერგილა.

სერიოზული ნაკლოვანებანი და ხარვეზები ახასიათებს კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის საქმიანობას. პარტიული კომიტეტი თითქმის არ იყენებს კოლმეურნეობის გამგეობის საქმიანობისადმი კონტროლის წესდებით მინიჭებულ უფლებას, სათანადო ყურადღებას არ უთმობს შრომის დისციპლინის განმტკიცებასა და სოციალისტური შეჯიბრების გაწევას, არ რაზმავს კოლმეურნეებსა და სპეციალისტებს შიდასამეურნეო რეზერვების გამოვლენისა და გამოყენებისათვის.

პარტიული კომიტეტი სუსტად ხელმძღვანელობს და კოორდინაციას არ უწევს საამქრო პარტიული ორგანიზაციების და პარტიული ჯგუფების მუშაობას. საამქრო-პარტიულ ორგანიზაციებში უხეშად ირღვევა სკკპ წესდების ელემენტარული მოთხოვნები პარტიული კრებების მოწვევის ვადების შესახებ, ხშირად კრებებს ცუდად და ნაჩქარევად ამზადებენ.

პარტიული ორგანიზაცია ჯეროვან ყურადღებას არ უთმობს მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების ორგანიზაციისა და შემოწმების საკითხებს. საგიტაციო-მასობრივი მუშაობა მიმართული არ არის კოლმეურნეობის სამეურნეო საქმიანობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის.

პარტიულ კომიტეტს მხედველობიდან რჩება საწარმოო ბრიგადებისა და ფერმების ეკონომიკის ღრმა შესწავლისა და ანალიზის საკითხები. არ აწყობს რეზერვების საზოგადოებრივ დათვალიერებას, ურიგდება იმის, რომ სოციალისტურ შეჯიბრებას ზოგჯერ ახასიათებს ფორმალიზმისა და აჩქარების ელემენტები.

პარტიული კომიტეტი სუსტად წარმართავს კომკავშირული ორგანიზაციის საქმიანობას, ჯეროვნად არ ზრუნავს ახალგაზრდობის შრომითი აქტივობის განვითარებისათვის, სოციალისტურ შეჯიბრებაში მისი ჩაბმისათვის, არ ახორციელებს სათანადო ღონისძიებებს იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროომ დაადგინა: დაეკალოს სოფელ ზემო მაჩხანის კოლმეურნეობის პარტიულ ორგანიზაციას, რომ კიდევ უფრო გააძლიეროს ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა პარტიის XXIV ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, აღმოფხვრას აღნიშნული ნაკლოვანებანი.

კოლმეურნეობის პარტიულ ორგანიზაციასა და გამგეობას უმნიშვნელოვანეს ამოცანად დაუსახეს დარაზმონ კომუნისტები, ყველა კოლმეურნე, რომ წარმატებით შეასრულონ 1973 წლის და მეცხრე ხუთწლედის დავალებანი მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის რეზერვების გამოვლინებისა და უკეთ გამოყენების დარგში.

კოლმეურნეობის პარტიულმა ორგანიზაციამ და გამგეობამ მთელი თავისი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა უნდა მოიხმარონ სახელმწიფო, პარტიული და შრომის დისციპლინის ყოველმხრივ განმტკიცებას წარმოების ყველა რგოლში, თვითეულ ხელმძღვანელს, კოლმეურნესა და სპეციალისტს ჩაუნერგონ მაღალი პირადი პასუხისმგებლობის გრძნობა მინდობილი საქმისათვის.

ყოველი ღონისძიებით უნდა აღმოფხვრას ფორმალიზმის ელემენტები სოციალისტურ შეჯიბრებაში, გაბადოს იგი ნამდვილად მასობრივი, ეფექტიანი და ქმედითი, უზრუნველყოს მიღწეული შედეგების შესადარება და თვალსაჩინოება, წამოწიოს ჩამორჩენილნი მოწინავეთა დონემდე, ყოველნაირად განავითაროს კოლმეურნეთა და სპეციალისტთა, სოფლის ყველა მშრომელის აქტივობა საწარმოო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

პარტიულმა ორგანიზაციამ და გამგეობამ კოლმეურნეობის კომუნისტების, ყველა მშრომელის მთელი ძალღონე უნდა მოახმარონ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას, რათა სახსრების ნაკლები დანახარჯებით მიიღონ მეტი მარცვლეული, ხორცი, რძე, მატყული, ყურძენი, ბოსტნეული და სხვა პროდუქტები. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, აგროტექნიკური ღონისძიებათა ჯეროვანი განხორციელების, მინერალური და ორგანული სასუქების რაციონალური გამოყენების, სათესი ფართობების სტრუქტურის გაუმჯობესების საფუძველზე ყველგან უნდა უზრუნველყონ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ზრდა, უნდა განსორციელონ დამატებითი ღონისძიებანი მემინდვრეობისა და მეცხოველეობის კომპლექსური მექანიზაციისათვის, კომპლექსურ-მექანიზებული ბრიგადების შექმნისათვის, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვისათვის, შრომის უფრო რაციონალური ორგანიზაციისათვის. ამასთან შრომის ნაყოფიერების ზრდა და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლება ძირითადი კრიტერიუმები უნდა იყოს კოლმეურნეობის სამეურნეო ქვეგანაყოფების, ყველა ხელმძღვანელი კადრისა და სპეციალისტის საქმიანობის შეფასების დროს.

გადდებული ამოცანები მოითხოვენ უფრო აქტიურად აამოქმედონ მეცხოველეობის ფარული რეზერვები, უნდა შექმნან მეცხოველეობის ფერმების ვეტერინარულ-სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების, პროფილაქტიკურ და სამკურნალო ღონისძიებათა დროულად განხორციელების ეფექტიანი სისტემა, რათა მკვეთრად შეამცირონ სასოფლო-სამეურნეო ცხოველებისა და ფრინველის სიბერწე, გაწყდომა, ინფექციური და სხვან დაავადებანი; განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ პროგრესული ტექნოლოგიით საკვების შენახვასა და გამოყენებას, საკვები საამქროების შეკვნას ფერმებზე; დაიწესონ მკაცრი კონტროლი მეცხოველეობის პროდუქტების და მიღებული ნამატის აღრიცხვისადმი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს კოლმეურნეობის კომუნისტების, ყველა წევრისა და სპეციალისტის საბრძოლო ამოცანად მიაჩნია ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტ წელს არსებული რეზერვებისა და შესაძლებლობების სრულად გამოყენების გზით გაადიდონ მარცვლეულის მოსავლიანობა 30-35 ცენტნერამდე, წველადობა — 3000 კილოგრამამდე.

კოლმეურნეობის პარტკომმა მკვეთრად უნდა გაუჯანსაღოს საამქროს პარტიული ორგანიზაციისა და პარტიული ჯგუფების ხელმძღვანელობა, გააძლიეროს მათი როლი ფერმებისა და ბრიგადების მუშაობაში; უფრო სრულად განახორციელოს კოლმეურნეობის გამგეობის საქმიანობისადმი კონტროლი, წარმართოს იგი საზოგადოებრივი მეურნეობის, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გადიდების, კოლმეურნეთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების საკვანძო საკითხების გადასაწყვეტად; ძირეულად გაუჯანსაღოს მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების ორგანიზაცია და შემოწმება, მთელი სიმკაცრით მოჰკითხოს იმათ, ვისი მიზეზითაც ვერ სრულდება ეს გადაწყვეტილებანი.

პარტკომმა და საამქრო პარტიულმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვანდ უნდა გაუჯანსაღონ ორგანიზაციულ-პარტიული და საგიტაციო-მასობრივი მუშაობა, წარმართონ იგი კოლმეურნეობის სამეურნეო საქმიანობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად; ღრმად და სისტემატურად გააანალიზონ ხოლმე საწარმოო ბრიგადებისა და ფერმების ეკონომიკა, მოაწყონ რეზერვების საზოგადოებრივი დათვალიერებანი. პროპაგანდისტული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა უნდა წარმართონ იმისათვის, რომ სოფლის მშრომელებს ([illegible]) უყალიბონ მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიური, ასწავლონ საზოგადოებრივი საკუთრებისადმი აყირათიანი დამოკიდებულება [illegible] მაღალი კომუნისტური პროფესიული, საკითხთა განხორციელდეს ღონისძიებანი, რათა კოლექტივში შეექმნას წარსულის გადმონაშთების ყოველგვარი გამოვლინებისადმი შეურიგებლობის ატმოსფერო, აუცილებლად უნდა გამოუსმაურონ და სერიოზულად, პრინციპულად განიხილონ ეგოიზმის, ინდივიდუალიზმის, კერძომესაკუთრული ტენდენციების, მომხვეჭელობის გამოვლინების ყველა ფაქტი.

პარტიულმა კომიტეტმა უნდა გაუჯანსაღოს კოლმეურნეობის პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობა, აამაღლოს მათი როლი სამეურნეო საკითხების გადაწყვეტაში, სოციალისტური შეჯიბრების განვითარებაში, კოლმეურნეთა შრომითი და საზოგადოებრივი აქტივობის ამაღლებაში. უნდა გააძლიეროს აღმშრალებლობითი მუშაობა ახალგაზრდობასთან; ჩაუნერგოს ახალგაზრდა კოლმეურნეებს ნეენი სოციალისტური სამშობლოსათვის, მშობლიური კოლექტივისათვის, იმისათვის სიამაყის გრძნობა, რომ ეკუთვნის სახელოვან კოლმეურნეგლეხობას.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაეკალა პრაქტიკული დახმარება გაუწიოს კოლმეურნეობას ეკონომიური მუშაობის გაუმჯობესებაში, ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატის შტატის მოწესრიგებაში, შიდასამეურნეო ანგარიშის განხორციელებასა და სამეურნეო საქმიანობის შემდგომ სრულყოფაში.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, სასოფლო მშენებლობის, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროებს დაეკალათ შეისწავლონ კოლმეურნეობაში 600 ძროხისათვის განკუთვნილი სარძეო კომპლექსის მშენებლობისა და წყალმომარაგების საკითხი და თავიანთი წინადადებანი წარუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

საქართველოს კომპარტიის წიათულწყაროს რაიკომი მოვალეა ყოველნაირად დაეხმაროს კოლმეურნეობის პარტიულ ორგანიზაციასა და გამგეობას სახელმწიფო, პარტიული და შრომის დისციპლინის შემდგომ განმტკიცებაში, სოციალისტური შეჯიბრების საჯაროობისა და ქმედითობის გაძლიერებაში, ამ დადგენილების შესასრულებლად ყველა კომუნისტისა და კოლმეურნის დარაზმვაში.

(სკკ ინფორმი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

პრასნოიარსკ 0 სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის დროს მოპოვებული წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1973 წლის 1 ივნისს ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვა საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოხამსახურეების დიდი ჯგუფი, რომლებმაც განსაკუთრებით გამოჩინეს თავი—ოქტომბრის რევოლუციის ორდენით — 17 კაცი, შრომის წითელი დროშის ორდენით — 416, „საპატიო ნიშნის“ ორდენით — 521, მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ — 423 და მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ — 386 კაცი.

ბრძანებულება ქვეყნდება „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებსა“ და ადგილობრივ პრესაში.

ხელი მოაწერეს შეთანხმებას

ვაშინგტონი ხელი მოაწერეს სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შეთანხმებას, რომლის შესაბამისად სსრ კავშირი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან ითანამშრომლებს თბოელექტროსადგურების გაფორთოებასა და აშენებაში, აგრეთვე მოაწყვიან 500 ათასი კილოვატ-საათის სიმძლავრის ტურბოგენერატორს.

შეთანხმებას ხელი მოაწერეს სსრ კავშირის მთავრობის დავალებით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო-ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ს. ა. სკაჩკოვმა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დავალებით — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო ეკონომიური ურთიერთობის მინისტრმა ჰ. ზოლემ. (საკდესი).

მუდმივ საკონსულტაციო კომისიაში

სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებმა მუდმივ საკონსულტაციო კომისიაში, რომელიც შეიქმნა, რათა ხელი შეუწყოს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების შეზღუდვის ხელშეკრულებისა და სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის დარგში ზოგიერთი ღონისძიების შესახებ დროებითი შეთანხმების მიზნებისა და დებულებების განხორციელებას, 30 მაისს ენევაში ხელი მოაწერეს მუდმივი საკონსულტაციო კომისიის დებულებას. დებულება აწესრიგებს კომისიის შუშაობის პროცედურას და სხვა საკითხებს. (საკდესი).

რეიკიავიკი

დამოავრდა პრეზიდენტთა შეხვედრა

ჰ ივნისი. (საკდესი). აქ დამთავრდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რ. ნიქსონისა და საფრანგეთის პრეზიდენტის ჟ. პომპიდუს ორი დღის შეხვედრა.

როგორც აქ გამოაცხადეს, ახლანდელი მოლაპარაკების დროს რ. ნიქსონმა და ჟ. პომპიდუმ მთავარი ყურადღება დაუთმეს „საერთო ბაზრის“ ქვეყნებთან ამერიკის შეერთებული შტატების მომავალ ურთიერთობას (ვაჭრობისა და სავალუტო-საფინანსო პრობლემებზე მომავალი მოლაპარაკების თვალსაზრისით), ნატო „ევროლუციის“, ორმხრივ ურთიერთობას, აგრეთვე განიხილეს სხვა საერთაშორისო საკითხები.

ათენი

პაპადოპულოსის განცხადება

ჰ ივნისი. (საკდესი). **დღეს რადიოთი გამოვიდა პრემიერ-მინისტრი პაპადოპულოსი, რომელმაც განაცხადა, რომ მთავრობას გადაწყვეტილი აქვს გამოაცხადოს საბერძნეთი პრეზიდენტურ რესპუბლიკად და დაამხოს მეფე კონსტანტინე.**

პაპადოპულოსმა განაცხადა, რომ ამიერიდან იგი კისრულობს პრეზიდენტის მოვალეობებს. ორი თვის შემდეგ განზრახულია მოეწყოს ქვეყანაში რეფერენდუმი მთავრობის გადაწყვეტილების მოწონების საკითხზე.

იდგილობრივ მიმომხილველთა აზრით, ამ გადაწყვეტილებას ბიძგი მისცა ამას წინათ აღმოჩენილმა შეთქმულებამ, რომელიც საბერძნეთის სამხედრო-საზრვაო ძალების ოფიცრებმა მოაწყვეს.

საინფორმაციო საგენტოთა ცნობებით, საბერძნეთის მთავრობამ მთლიანად გაამზადა საბრძოლველად არმია, უშიშროებისა და პოლიციის ძალები.

მეფე კონსტანტინე ახლა იტალიაშია განდევნილი მას შემდეგ, რაც წარუმატებლად ცდადა მოეწყო სახელმწიფო გადატრიალება 1967 წლის დეკემბერში.

ფიზიკურ კულტურას — საყოველთაო-სახალხო ზრუნვა

(დასასრული).

ოთხი წლის წინათ ისინი გახდნენ ჩვენი ქვეყნის ჩემპიონები, ახლა კი მაგრეგის მათი მონაწილეობით თბილისის სპორტის სასახლეშიც კი იშჯიათად თუ დაესწრება სოლმე რამდენიმე ათასი მაყურებელი.

ვანა სამწუხარო არ არის, რომ, 123 ათასი (ოფიციალური ანგარიშებით) ფრენბურთელის მიუხედავად, რომლებიც რესპუბლიკის ფრენბურთის სექციებში მეცადინეობენ, ფაქტიურად არა გვყავს არც ერთი კლასის გუნდი?

ასეთი ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, რომ რეალური არ არის წარმოდგენილი ციფრები და ენობები, კრებაზე ბევრი მოიყვანეს.

მოიყვანეს ბევრივე სახელმწიფო სახსრების დატაცებისა და განიავების მაგალითები, რასაც, სამწუხაროდ, ადგილი ჰქონდა ცალკეულ სპორტულ ორგანიზაციებში.

ორატორები ერთხმად მოითხოვდნენ სიმართლეს, რაკინდ მწარეც უნდა იყოს იგი. მხოლოდ სიმართლე თუ მოგვეცემა შესაძლებლობას მივაქციოთ ყურადღება ფორმალურად, ყოველ ჯაჭვთილზე, ყოველწლიურად სთავაზობს ერთსა და იგივე ვარჯიშებს და აიძულებს მოსწავლეებს მარშირებას. ხალხებში ხშირად არა ჰყავთ ფიზკულტურის მასწავლებელი, და გაკვეთილს ატარებენ ადამიანები, რომლებსაც არავითარი დამოკიდებულებაც კი არა აქვთ ფიზკულტურასთან, არაფერი არ ესმით ფიზკულტურისა.

ამასთან დაკავშირებით დიდი პრეტენზიები გამოთქვა საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის მიმართ. აქ ჯერ კიდევ ვერ დაიკვეხნეს ჯეროვან სიმაღლეზე სკოლებისათვის ფიზკულტურის მასწავლებელთა კვალიფიციური კადრების აღზრდა. ძალიან დაბალ დონეზე წარმოებდა სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესიც, თავის სიმაღლეზე არ იდგა პარტიული ორგანიზაცია, რომელიც სათავეში ვერ ჩაუდგა კომუნისტებს იდეური აღზრდის უმნიშვნელოვანესი ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლაში.

ბოლო უნდა მოვიღოს ისეთ მოვლენებს, როცა ამ უმაღლეს სასწავლებელში მოდიოდნენ საშუალო სკოლების ყველაზე ნაკლებად მომზადებული კურსდამთავრებულნი იმ იმედით, რომ ითლად მოეწყობოდნენ და მიიღებდნენ სანუკვარ დიპლომს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა მიიღო შესაბამისი ღონისძიებანი და ახლა მდგომარეობა უმაღლეს სასწავლებლებში უმჯობესდება.

დიახ, ადამიანის ჯანმრთელობას, სპორტით რეგულარულ მეცადინეობაში მის ჩაბმას საფუძველი უნდა ჩაეყაროს საშუალო სკოლაში და გაგრძელდეს უმაღლეს სასწავლებელში. მასობრიობა ოსტატობის მთავარი საწინდარია, და ეს ყველამ იცის. საქართველოს, საბჭოთის წამყვანი სპორტსმენები უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტები არიან და იქ მასობრივი მუშაობის დაფენებაზე, მთლიანად თუ არა, დიდად არის დამოკიდებული მაღალი კლასის სპორტსმენთა აღზრდა. მაგრამ სპორტის განვითარების საქმე რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში მაინც არ არის ისე კარგად, როგორც გვინდა ეს თვითეულ ჩვენგანს. რა თქმა უნდა, იდეალური იქნებოდა ყველა სტუდენტის აქტიური ჩაბმა სპორტში, მაგრამ, ვთქვათ, ხვალ ჩვენი უმაღლესი სასწავლებლების სპორტულ სექციებში მეცადინეობა რომ შოიურეოს სტუდენტთა თუნდაც ნახევარმა, ვერ შეძლებს ამას, რადგან... სად უნდა იმეცადინონ? პრობლემაა ბაზები და ისევ ბაზები.

ფართო საზოგადოებრიობამ საკვირველი იცოდეს, რომ შესაბამისი ორგანოების მიერ ჯერ კიდევ 1967 წელს დამტკიცებული ნორმებით უმაღლეს სასწავლებლებში, სადაც სტუდენტთა 10-ათასიანი კონტინგენტია, უნდა იყოს მინიმუმ 12 მარტო დახურული სპორტული ნაგებობა! ეს არის სხვადასხვა დანიშნულების 10 დარბაზი, მძღეოსნობის მოედანი და 50×50 საცურაო აუზი. ამას უნდა დამატოს ველოტრეკები, სტადიონები, სათამაშო მოედნები! საქართველოს 18 უმაღლესი სასწავლებლიდან კონტინგენტის მიხედვით მხოლოდ თბილისის უნივერსიტეტი და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი შეესაბამება ამ მოთხოვნას, მაგრამ აქვთ კი მათ ამ ნორმის თუნდაც, ნახევარი? ჯერ ჯერობით რესპუბლიკის ვერც ერთი უმაღლესი სასწავლებელი ვერც კი უახლოვდება იმ მაღალ ნორმებს, რომლებიც ჩვენი წლის წინათ დამტკიცდა.

იმისათვის, რომ ათიათასობით, ასიათასობით ადამიანი მეცადინეობდეს ფიზკულტურასა და სპორტში, მათ უნდა ჰქონდეთ მეცადინეობის ადგილი.

სერიოზული ბრალი მიუძღვით ბაზების უქონლობაში საზოგადოებრიობას, საწარმოებს, დაწესებულებებს. არ შეიძლება მხოლოდ ლოდინი, რომ ვიღაც სხვა მოასწორებს მოედანს, გამოგზავნის მანქანებსა და მექანიზმებს, ჩვენმა ბავშვებმა, ჩვენ თვითონ რომ ვითამაშოთ ფეხბურთი ან ვირბინოთ, თვითონ უნდა ვაშენოთ მოკრორაიონებში, ეზოებში სათამაშო მოედნები, უმარტივესი სპორტული ნაგებობანი. დიდი ქების დირსი არიან სამრეწველო საწარმოები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც ზრუნავენ თავიანთი მშრომელების ინიციატორები, რა თქმა უნდა, მკაცრად დაისჯებენ, დარბაზი კი დაუბრუნეს ახალგაზრდებს. გავიხსენოთ თუნდაც ცნობილი ფაქტი თბილისის სანაპიროზე საცურაე აუზთან დაკავშირებით, ანდა ხოფლებში სტადიონებისა და სპორტული მოედნების გადაზვნის მრავალი მაგალითი და სხვ. ასეთი შემთხვევები ბევრია. და კ აქ უკვე თავისი მტკიცე სიტყვა უნდა თქვას საზოგადოებრიობამ. მით უმეტეს ახლა, როცა პარტიამ და მთავრობამ დაგვისახეს მშთ ახალი კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაში მოქალაქეთა მაქსიმალურად ჩაბმის ამოცანა. ეს კომპლექსი ხომ ჭანმრთელობისა და ხიმშნეგის საწინდარია.

კარგად არის მშთ ახალი კომპლექსის ნორმების ჩაბარების საქმე აფხაზეთში, აჭარაში, რუსთავში, მცხეთაში, თელავში, ხამტრედიაში, თბილისსა და ორჯონიკიძეში. ორატორები განსაკუთრებით აღნიშნავდნენ აფხაზეთის დადებითს გამოცდილებას, სადაც მშთ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება იქცა ნამდვილ სპორტულ ღღესასწაულად.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ სპორტი მხოლოდ შეჯიბრებებში გამოსვლა, მხოლოდ ადამიანის ინდივიდუალური ოსტატობა როდია. სპორტი აღორძინ, მაშაყობის, ნებისყოფის, ხალამაზის პროპაგანდის საუცხო საშუალებაა. და ამიტომ თვითეული საბჭოთა სპორტსმენი, თვითეული ფიზკულტურელი მუშაკი სამაგალითო უნდა იყოს ახალგაზრდობისათვის.

კრებაზე მოიყვანეს ჩვენი სპორტსმენების ნამდვილი დიდი კეთილშობილების ათობით მაგალითი. უკვე მრავალი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც დიდი ფეხბურთი დატოვა ბორის პაიჭაძემ, მაგრამ დღემდე გვახსოვს მისი რაინდობა მოედანზე. დღესაც იგონებენ ახლო წარსულში ისეთ საბჭოთა სპორტსმენებს, როგორიც არიან ვახტანგ ბალავაძე და ნინო დუმბაძე, ელენე გოკიელი და მზია ჯუღელი, გივი კარტოზია და მიხეილ მესხი, არსენ მეკოკიშვილი და ოთარ ქორქია და ბევრი, ბევრი სხვა. ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ რაც უფრო მაღალია სპორტსმენის კლასი, მით უფრო მაღალია მისი შინაგანი კულტურა, მით უფრო კეთილშობილურია მისი საქციელი.

მაგრამ ვანა შეიძლება მშვიდად, აღუშფოთებლად მოგვიდო ცალკეული სპორტსმენების არასპორტული საქციელის ფაქტებს, რომლებიც შეურაცხყოფას აყენებენ როგორც თავიანთ მეტოქეებს, ისე მსაჯებსაც? ანდ მოგვიანებით, სადაც მეწერთნელმა ა. ჯრძელიძემ შეურაცხყო მსაჯი, ანდ მოხდა წაკლაში, სადაც ფიზკულტურის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. ბელოვანოვმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მსაჯს, ანდ მოხდა აბუჩაში, სადაც მთელი ადგილობრივი ფეხბურთელთა გუნდი არ გამოვიდა შუხვედრის მეორე ნახევარში და მიაუარა ტელევიზორს... ფეხბურთის ხალხურებლად. ახეთი და ამგვარი ფაქტები ყოველად შეუწყნარებელია, მათ გადაშეფუტები ბრძოლა უნდა გამოეცხადოთ.

კრების მონაწილეებმა დიდი ყურადღება დაუთმეს ისეთ საკითხებს, როგორიც არის ფიზიკური კულტურისა და სპორტის პროპაგანდა, მოსახლეობის ფართო მასების ჩაბმა ფიზკულტურითა და სპორტით აქტიურ მეცადინეობაში, ხელმეწყობა ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციებისადმი სკკპ XXIV ყრილობის მიერ მათ წინაშე დასახული დიდი ამოცანების შესრულებაში.

* * *

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ ხ. ჰ. პაპლოვმა რესპუბლიკის სპორტულ ორგანიზაციას გადასცა სსრ კავშირის სპორტკომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა, რომლითაც იგი უკვე ზედიზედ მეთოთხმეტედ დაჯილდოდა ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში მოქალაქეთა მაქსიმალურად ჩაბმის ამოცანა. ეს კომპლექსი ხომ ჭანმრთელობისა და ხიმშნეგის საწინდარია.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა მიიღო შესაბამისი ღონისძიებანი და ახლა მდგომარეობა უმაღლეს სასწავლებლებში უმჯობესდება.

დიახ, ადამიანის ჯანმრთელობას, სპორტით რეგულარულ მეცადინეობაში მის ჩაბმას საფუძველი უნდა ჩაეყაროს საშუალო სკოლაში და გაგრძელდეს უმაღლეს სასწავლებელში. მასობრიობა ოსტატობის მთავარი საწინდარია, და ეს ყველამ იცის. საქართველოს, საბჭოთის სპორტსმენები უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტები არიან და იქ მასობრივი მუშაობის დაფენებაზე, მთლიანად თუ არა, დიდად არის დამოკიდებული მაღალი კლასის სპორტსმენთა აღზრდა. მაგრამ სპორტის განვითარების საქმე რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში მაინც არ არის ისე კარგად, როგორც გვინდა ეს თვითეულ ჩვენგანს. რა თქმა უნდა, იდეალური იქნებოდა ყველა სტუდენტის აქტიური ჩაბმა სპორტში, მაგრამ, ვთქვათ, ხვალ ჩვენი უმაღლესი სასწავლებლების სპორტულ სექციებში მეცადინეობა რომ შოიურეოს სტუდენტთა თუნდაც ნახევარმა, ვერ შეძლებს ამას, რადგან... სად უნდა იმეცადინონ? პრობლემაა ბაზები და ისევ ბაზები.

ფართო საზოგადოებრიობამ საკვირველი იცოდეს, რომ შესაბამისი ორგანოების მიერ ჯერ კიდევ 1967 წელს დამტკიცებული ნორმებით უმაღლეს სასწავლებლებში, სადაც სტუდენტთა 10-ათასიანი კონტინგენტია, უნდა იყოს მინიმუმ 12 მარტო დახურული სპორტული ნაგებობა! ეს არის სხვადასხვა დანიშნულების 10 დარბაზი, მძღეოსნობის მოედანი და 50×50 საცურაო აუზი. ამას უნდა დამატოს ველოტრეკები, სტადიონები, სათამაშო მოედნები! საქართველოს 18 უმაღლესი სასწავლებლიდან კონ-

ᲙᲐᲭᲘᲕᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲯᲐᲒᲠᲘᲓᲕᲘᲡ

რუსაკაგლიკის ფიზკულტურული აქტივის კრების მონაწილეთა ერთი ჯგუფი — შესანიშნავი ქართველი სპორტსმენები, რომლებმაც შორს გაუთქვეს საბელი ჩვენს რესპუბლიკასა და ქვეყანას (მარცხნიდან): ზურაბ მაჩხანელი, მზია ჯუღელი, ნინო დუმბაძე, ვიქტორ სანეევი, ბორის პაიჭაძე, თინათინ ლეკვეიშვილი და ნონა გაფრინდაშვილი.

ᲔᲚ. ᲒᲘᲜᲖᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲯᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲕᲘᲤᲠᲝ, ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲡᲣᲡᲢᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘ, ᲛᲮᲚᲝᲚᲝᲓ ᲘᲒᲘ ᲓᲐᲒᲠᲣᲠᲓᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲘᲛᲘᲚᲝᲓ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲝᲓᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲓᲜᲔᲑᲘ ᲡᲐᲜᲣᲙᲕᲐᲠ ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲡ. ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲐᲓ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲒᲣᲜᲓᲘ.

ᲐᲡᲔᲗᲘ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲛᲝᲬᲛᲝᲑᲔᲜ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲘᲡᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲘ ᲪᲘᲤᲠᲔᲑᲘ, ᲛᲝᲬᲛᲝᲑᲔᲜ ᲐᲛᲘᲗᲝᲛ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲒᲣᲜᲓᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲣᲚᲘ. ᲠᲝᲛ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗᲐᲪ ᲕᲔᲠ ᲙᲠᲣᲚᲓᲔᲑᲐ ᲕᲐᲜᲓᲐᲒᲐᲜᲐᲛᲓᲔ.

ᲛᲔᲠᲔ ᲡᲐᲛᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲒᲐᲮᲓᲜᲔᲑᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲩᲘᲛᲠᲘᲝᲜᲔᲑᲘ, ᲐᲮᲚᲐ ᲙᲘ ᲛᲐᲒᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲝᲪᲓᲔᲚᲘ ᲐᲠᲐᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ Გ

სიმონ ჩიქოვანის დაბადების 70 წლისთავი

სიმონ ჩიქოვანი. 1969 წ. (ფოტო ბერეულიანი).

სიმონ ჩიქოვანი თანამედროვეობის თვალსაჩინო ლირიკოსი პოეტია. მე მგონია, თვით ბუნებამ დაბადებიდანვე დააჯილდოვა პოეტი განსაკუთრებული მადლით — შეეგრძნო ჩვეულებრივ მოკვდავთათვის მიუწვდომელი პოეტური მოვლენები, მთელი არსებით გაეღენთილიყო ხალხიანი ქვეყნიერების სიმდიდრითა და სილამაზით....

ახლა რომ გადავიკითხოთ საყვარელი პოეტის ლექსთა კრებულები, დავინახავთ და ვიხარეოთ მის განდიდათა რთულ გამას. მოვიხიბლებით მისი ლირიკით — უნაზესი სატრფიალო სტრიქონები იქნება ეს თუ შთაგონებული ფამილიარული: „ვინა ხთქვა, თითქოს პატარა იყო ჩემი სამშობლო, დიდების ლირსი?“...

ახმ მოგვიხდა ხალისიანი ქვეყნით მოხიბლულმა ყარიბმა თავისი გაცხუმორებელი ლექსებიი, რომლებიც იცოცხლებენ მრავალ თაობაში, რომელთაც არ ეძნებათ ხაზდვარი, რომლებიც არ მიეცემიან დავიწყებას.

ნიკოლოზ ტიხონოვი.

პოეტის ქრესტომატიიდან

სიმონ ჩიქოვანი

ტ ა ყ ე ბ ი

კოდალა ტყეში აღვიძებს მუხას,
ხეს უკაკუნებს გამხმარს და ჯმხას.
შემოკრავს ნიკაკრტს: „იფიზნლე, მუხავ,
მალე მოგეჩრიან და მიტომ ვწუხავრ“.

კოდალას, ხეზე ყურივით გაკრულს,
ტყის ბინადარი შორიდან იცნობს.
მდუმარებს მუხა, მოელის ზაფხულს,
როცა ტოტებით სიმწვანეს იკრძნობს,

ვინ გააღვიძებს ნისკარტით მუხას,
ცხოვრებას ხიხას შეფუთვნილს ქერქში,
მიხი ფუტკრო მიაგავს ბუხარს,
ფოტროს დასუნთქულს ნადირთა ეშინი.

„რამდენი წლის ხარ“, კოდალა ჰკითხავს,
„ეამის ნიშანი დავთვალოთ ზოლი“,
და უკაკუნებს კოდალა დიდხანს,
ხანამ ტოტებში ირხევა ბოლი.

ეგებ მუხაში ჩათვლიმა ღმერთმა
და მიაყუჩა მარჯვენის ფეთქვა,
ნუ გაალვიძებ, კოდალავ, უფალს,
მას იდუმალი ცხოვრება უყვარს.

ხეს მოაშორე ცბიერი ფითრი,
მოპარვია და ერევა ტრელი,
ხემ რიფრაციით გამოთქვას ფიქრი,
ხავსის ხურნელი გვაპკურთოს ნელი .

მინდა ვეხოლოთ კოდალას თოფი,
რისთვის აშფოთებს მთვლემარე მუხას,
მუხა მდუმარეს რიფრაციი მყოფი,
მასაც უნინრად ცხოვრება უყვარს.

მუხის დარია ვარამი ჩემი,
მისთვის დავდევი კოდალას წუნი,
მეც არ დამარტყას ნისკარტი მჭრელი,
არ გამიღვიძოს მთვლემარე წყლული.

კოეტის იუბილე

ხვალ, 4 ივნისს რუსთაველის სახელობის თეატრში გაიმართება სიმონ ჩიქოვანის დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო, რომელზეც სიტყვებით, მოგონებებითა და მიძღვნილი ლექსებით გამოვლენ მწერლები, პოეტები, მეცნიერებისა და ხელოვნების მუშაკები.

თეატრის ფოიეში მოეწყობა პოეტის წიგნების გამოფენა, აქვე გამოფენილი იქნება მისი ცხოვრების ამსახველი ფოტოსურათები.

ს. ჩიქოვანის ასეთივე საღამოები გაიმართება ქუთაისში, აბაშაში, ხობუმსა და ბათუმში.

გარდა ამისა საიუბილეო კომისიამ დასახა ღონისძიებები პოეტის ხსოვნის უკვდავსაყოფად. მათ შორის სოფელ ნაესაკოვოში, სადაც დაიბადა სიმონ ჩიქოვანი, კულტურის სახლში გამოიყოფა ერთი ოთახი პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების მუდმივი ვამოფენის მოსაწყობად, ერთ-ერთ სკოლას მიეკუთვნება მისი სახელი.

გამოვა სიმონ ჩიქოვანის ოთხტომეულის პირველი ტომი.

ДИДИ ПОЕТУРИ МЕМКВИДРЕОБА

სიმონ ჩიქოვანი ჩვენი საუკუნის ქართული პოეზიის უპირველეს ოსტატთა პლეადას ეკუთვნის, თავისი თითქმის ნახევარსაუკუნოვანი შემოქმედებითი ღვაწლით, დაუცხრომელი შრომითა და ბრძოლით მან ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა მშობლიური მწერლობის განახლებისა და განვითარების, ხალხის სულიერად გამდიდრებისა და ამაღლების საქმეში და სამუდამოდ დაიმკვიდრა საკუთარი თვალსაჩინო ადგილი საბჭოთა ხალხების პოეტური ჯულტურის საერთო საგანძურში.

ახლა შეუძლებელია მსჯელობა მრავალეროვნული საბჭოთა პოეზიის განვითარების პროცესებზე, მის აქტუალურ შემოქმედებითს პრობლემებზე სიმონ ჩიქოვანის ნოვატორულ ძიებათა და ადმორნინთა გაუთვალისწინებლად. კმაყოფილებამაც სოციალისტური რეალიზმის პოეტური ხელოვნების ყოველი ავტორიტეტ უ ლ ი მკვლევარი დიდი ყურადღებითა და ინტერესით ეპყრობა დიდი ქართველი პოეტის შემოქმედებითს მემკვიდრეობას, რომ აღარაფერი ვთქვათ იმის შესახებ, თუ როგორი ერთსულოვანი სიყვარული და აღიარება მოიხვეჭა სიმონ ჩიქოვანმა რუსული და სხვა მოძმე საბჭოთა ხალხების პოეზიის სხვადასხვა თაობების საუკეთესო ოსტატთა შორის, რომელებიც ნამდვილი შემოქმედებითი გზნებით თარგმნიდნენ და თარგმნიან ჩვენი პოეტის ქმნილებებს თავიანთ ენებზე.

საზღვარგარეთის ქვეყნებში ვამოხულ ქართული პოეზიის უკლებლივ ყველა ანთოლოგიას და მრავალეროვნული საბჭოთა პოეზიის მრავალ კრებულს აშშვენებს ს. ჩიქოვანის ლექსები. ს. ჩიქოვანის შემოქმედება ერთ-ერთი მკაფიო და საყოველთაოდ აღიარებული დადასტურებაა იმ ჭეშმარიტებისა, რომ ქართული საბჭოთა პოეზია თავისი საუკეთესო მიღწევებით თანამედროვე პროფესიული საკაცობრიო პოეტური ხელოვნების ფონზე დგას და რაც დრო გადის, სულ უფრო მზარდი მასშტაბით და ინტენსივობით ამსაურებს ცივილიზაციის მსოფლიოს მოწინავე ადამიანთა ყურადღებას.

სიმონ ჩიქოვანის ყოველი დამახასიათებელი ქმნილება მასში განსახიერებული ლირიკული აზრის სიღრმით, მძაფრი მოქალაქეობრივი შემართებით, საზოგადოებრივი აქტუალობით სასიათდება. არა მარტო ჩვენი ქვეყნის თანამედროვე თუ წარსული ცხოვრების დიდი ისტორიული მოვლენებისადმი უშუალოდ მიძღვნილ ლექსებში, არა მარტო ჩვენს ქვეყანაში ძლევამოსილად გაჩაღებული ახალი ცხოვრების მშენებლობის მოწინავე ადამიანებისადმი თუ ჩვენი სასელოვნო უკვდავ წინაპრებისადმი მიმართულ პოეტურ მონოლოგებში, არამედ ლირიკულ პეიზაჟებშიც, რომლებიც უფრავლეს შემთხვევაში პოეტური ფერწერის მომხიბვლელი ხელოვნებით არის შესრულებული.

ხალხის ყოველდღიური ხაბრძოლო თუ შრომითს ცხოვრებასთან განუყოფელი თანაზიარობის ეეცხლი ენთო პოეტის გულში და ამიტომაც იყო ასე ვრცელი, მდიდარი და შეუწყვეტელად მრავალფეროვანი მისი პოეტური თვალთასვლა ხარბიელი. იგი დღეანდელი თუ ისტორიული საქართველოს სინამდვილის დამახასიათებელ სრულიად სხვადასხვაგვარ ურიცხვ მოვლენას მოიცავს და წარმოსახავს, მის ორბიტაში აღორძინებული საქართველოს ყოველი კუთხე და საბჭოთა ქვეყნის თვალუწვდენელი სივრცეებია მოქცეული.

ამ ურიცხვ პოეტურ ხილვათა წარმოსახვისათვის ს. ჩიქოვანი მთელი თავისი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე იშვიათი ნოვატორული შემართებით მიეს ყრდაფვოდა მხატვრული მეტყველების ახალსა და ორიგინალურ სამუალებებს. მას არასოდეს არ უელია სხვის მიერ გატკეპნილი გზებით პოეზიაში, იგი მუდამ საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარეობდა, მხოლოდ თავის მიერ ხილულ განცდილს და გააზრებულს გამოთქვამდა და გამოხატავდა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სმით, ხელებავებით, ნახატით.

თავისი პოეტური ბიოგრაფიის პირველსავე წლებში ს. ჩიქოვანი აღიარებდა: „ხორკლიან სიტყვით, ჭიდილით, ომით დავეცით შეერჯერ და ავდსდგ ისევ“, ხოლო შემდეგ უკვე მოწიფულობის ასაკში წესული ოსტატი ამგვარად გვამცნობდა თავისი შემოქმედებითი ცხოვრების დრამას, შემოქმედების მღელვარე წუთებს, უძიერო ღამეების მძაფრ განცდებს:

ხშირდება გულის ხაშაში
ფეთქვა,
მსურს საკაშნიკო სიმღერა
გითხრათ,
მე სრულიად სხვა მინდოდა
მეთქვა
და სხვას მამღერებს წუეული
რითმა.
მაგრამ ხელს ვაკა დამადებს
მხარზე,
გზას მინაუებს და სიმღერას
ითხოვს,
და რიცა მტრედი იელვებს
ცაზე
მე მოვაბეედრებ ნიშანში
სტრიქონს

დიდი პოეტური მემკვიდრეობა

შთაგონებასთან ასეთ დაუცხრომელ ჭიდილში განვლო ამ დიდი ხელოვანის მთელმა შემოქმედებითმა ცხოვრებამ. მისი პოეტური ბიოგრაფიის დასაწყისი იმ ისტორიულ დღეებს დაემთხვა, როცა საქართველოში სოციალისტურმა რევოლუციამ გაიმარჯვა, ოციანი წლების პირველი ნახევარი ქართულ ლიტერატურაში შემოქმედებითი ძალების დიფერენციაციით, განსხვავებულ იდეურ-ესთეტიკურ პოზიციებზე მდგომი ლიტერატურული გაერთიანებებისა და დაჯგუფებების აღმოცენებითა, მათ შორის მძაფრი ლიტერატურულ-პოლიტიკური მრძოლებით აღინიშნა.

ასალგაზრდა პოეტი იჩენს შემოქმედებითს ინტერესს სამოქალაქო ომის თემებისადმი, ახალი ცხოვრების პროცესებისადმი, და უკვე ოციანი წლების მეორე ნახევრის დამდეგს წერს ლექსს „გზა საბჭოეთში“, რომელსაც ღრმად პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა მთელი ქართული პოეზიის განვითარებისათვის. ამ ლექსში პოეტური აღწერილობის შთამბეჭდავი ხელოვნებით ასალგაზრდა პოეტმა გამოხატა მადლიერებისა და ძმური სიყვარულის გრძნობა საბჭოთა სამყაროსადმი. სოციალისტური რევოლუციის უპირველესი შემოქმედის — რუსი ხალხისადმი:

დიდო ქვეყანავ, სამშობლო ხან
ჩემი მამულის,
დიდო მინდვრებო, შემაყვარეთ
სწორაფი ბორბლები,
დროშა მოამყვება მოშრიალე და
მეწამული,
და მეც ოქვენთან ვარ ჩემი
მთით და ჩემი ორბებით.

ძნელი არ არის იმის წარმოდგენა, თუ როგორ აქტიური და მრავალმხრივად დადებითი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ამ ლექსს 20-იანი წლების ჩვენი საზოგადოებრივი და ლიტერატურული სინამდვილისათვის. ალე პოეტი იწყებს ინტენსიურ შემოქმედებას მუშაობას იმისათვის, რომ ცხოველმყოფელ პოეტურ სურათებში წარმოსახოს ჩვენი დროების მთავარი აზრი და შინაარსი, — ძველისა და ახლის სამკვდრო-სასიცოცხლო ორთაბრძოლა და ამ ბრძოლაში ახალ სამეურნეო და ყოფით ურთიერთობათა ძლევამოსილება, ახალი ადამიანის სასიათის, მისი ამაღლებული თვისებების ჩამოყალიბება და დამკვიდრება.

ამ თემებს უპირველესი ხვედრითი წონა ეთმობა პოეტის შემოქმედებაში ოციანი და ოცდაათიანი წლების მიჯნაზე. სწორედ ამ დიდი ისტორიული და სოციალური კონფლიქტების გამწვავების პერიოდში პოეტის მოქალაქეობრივი პოზიციის დასახასიათებლად საგულისხმოა, რომ იგი ზედიზედ აქვეყნებს ლექსებს, რომლებშიც წარმოსახულია საქართველოს მთიან კუთხეებში — ხვანეთში, ფშავში, ხევსურეთში ახალი ცხოვრების ქარიშხლის განმახლებელი ქროლვის ძლავრი და ყოვლისმომცველი შეტრა. დიდი ხანია საბჭოთა პოეზიის მშვენებად იქცნენ ამ ციკლის ისეთი ლექსები, როგორიც არის „შუგული“, „შემოღამება ხახატაში“ და სხვ.

ოციანი წლების დამლევიდან ს. ჩიქოვანი თანმიმდევრულად აფართოებს თავის პოეტურ სამყაროს, აღრმავებს პოეტურ გამომსახველობის ოსტატობას, კერძოდ, პოეტურ ფერწერლობას, ხელოვნებას, რომელშიც იგი ერთ-ერთ უპირველეს ადგილს იჭკვიდრებს ქართულსა და მთელ მრავალეროვან საბჭოთა პოეზიაში.

მშობლიური ქვეყნის ბუნების ხურათების ხატვისას პოეტი იჩენს ყოველ ფერწერულისათვის ნამდვილად შესაშურ ფერებისა და საღებავების შესამეა-განაწილების ხელოვნებას, ნახატის კომპოზიციის იშ ე ი ა თ ოსტატობას, საკუთარს, ღრმ ა ად თვითმყოფ ხელწერას, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ეს სურათები არასოდეს არ არის უსულგულო, გულგრილი მეფერეტელობის შედეგი. ყოველი მათგანი გამსჭვალულია მგზნებარე ადამიანური გრძნობით, მდელვარე ლირიკული ვაზარებით, ფრფელი, გადამდები განცდებით და განსზოგადებითი ძალის განწყობილებებით. ამ მსრივ ერთმანეთს ეჯიბრებიან ლირიკული ციკლები „ქართლის საღამოები“, „კახეთის შემოდგომა“, „მშობლიური ნაპირები“, „თბილისის ჩუქურთმები“.

განსაკუთრებული თბილისის პეიზაჟი ს. ჩიქოვანის პოეზიაში წარმოსახულია. როგორც ჩვენი დედაქალაქის აღორძინებისა და მშენებლობისათვის გაჩაღებული შემოქმედებითი შრომის სორცშესხმული გამოხატულება:

წყალში ელავენ ხარკმლის
მუშები,
ნეშის რტოები მოფრთავს
აპრილს,
მტკვარში ჩამდგარან გამრჯე
მუშები
და უსწორებენ დამტვრეულ
ნაპირს.
წყალი მოკირწყლულ ნაპირს
შორდება,
მწამს, კალაპოტში ჩავა
ოცნებაც,
შეიშუშუნება და გასწორდება
და მომავალში გადიტორცნება.

ამგვარად ერთიანდება ს. ჩიქოვანის პოეზიაში ბუნებისა და გარემოცვის მხატვრობა და ხალხის მძაღი მისწრაფებათა ნათელ აღმიანურ აზრთა და გრძნობათა ხორცშესხმის ხელოვნება. ყოველივე ეს კი მთლიანად არის გამსჭვალული და მთაგონებული საბჭოთა პატრიოტობას და უწინდელი გრძნობით, იმ უმაღლესი მოქალაქეობრივი იდეალით, რომელმაც მთელ ჩვენს პოეზიაში და კერძოდ ს. ჩიქოვანის შემოქმედებაში განსაკუთრებული ძალით და ცხოველმყოფელობით იჩინა თავი დიდი სამამულო ომის ფრონტის დღეებში.

სწორედ ჩვენი ხალხის ამ უმაგალითო საბრძოლო შემართების ვითარებაში დაწერა ს. ჩიქოვანმა პატრიოტული ლირიკის ისეთი საყოველთაოდ ცნობილი უმკნობი ნიმუშები, როგორიც არის „ვინა ხთქვა“ და „არ დაერქმევა პატარა მხარე“. სწორედ იმ მრისხანე დღეებში გამოძერწა მისმა მძლავრმა პოეტურმა ფანტაზიამ ერის უკვდავი სულის გამომხატველი სახე აჩრდილისა, რომელიც გაჰყიჟინებდა სამშობლოს სიცოცხლისა და თავისუფლებისათვის აღმდგარ ხალხს.

წინ, საქართველოვ, მიღმა
ვინ არის?
გკონდეს მარჯვენა ომში
ქებული,
შეუდრეკლობა, დარი
მყინვარის,
მტერზე შეტევა თეორგსებური.

სამშობლოსადმი თავდადებული ერთიულებისა და სიყვარულის გრძნობა ს. ჩიქოვანის პოეზიაში განუყოფელია ხალხთა ურღვევი ძმობისა და მეგობრობის უწმინდესი იდეისაგან. ლექსში „მოსკოველ მეგობრებისადმი“ პოეტი მთელი ქართველი ხალხის გრძნობისა და აზრის გამომხატველი სიტყვებით მიმართავდა მოძმე რუს ხალხს:

მოსკოვში მიჰქრის გულისთქმა
ჩემი,
ქარიშხალია, გოგონებო, ძმებო,
თავზე დადგნთოის ვარსკვლავი
კრემლის,
ცისკრის ხადარი და ხაოცნებო.
— ხმა პუშკინის და ხმა
რუსთაველის
წრფელი გრძნობით და ხაამო
ხმებით,
ყურძნის ქარვა თუ პურის
თაველი,
გადაჯვარული წკრიალა ხმლები.

პოემა ლექსების მთელი ციკლი შექმნა მომმე ხომხეთში მოგზაურობის შედეგად და ამ ციკლის ყოველი სტრიქონი ხომეი და ქართველი ხალხების მრავალსაუკუნოვანი ძმობის სასელოვანი ტრადიციის, ჩვენს ნათელ ეპოქაში ახლებურად აღორძინების და გამობრწყინების შთაგონებელ საგალობლად ეღერს. რუსი, უკრაინელი და ქართველი ხალხების საუკუნოვანი ძმობის ამაღლებულ საგალობლად გაიხმა დიდი სამამულო ომის წლებში ს. ჩიქოვანის შეხანიშნავი ქმნილება—პოემა „სიმღერა დვიდ გურამიშვილზე“, რომლის მთავარი გმირიც სწორედ ამ ხამი ხალხის ურღვევი მეგობრობის უკვდავ წინაპრად წარმოგვიდგება.

დიდად განავრცო და გააფართოვა ს. ჩიქოვანმა ქართული პოეზიის თემატური დიაპაზონით თავის ლირიკულ ციკლში „პოლონეთის გზაზე“ და „ეოვეთის ცხოვრებიდან“. ამ ციკლების ლექსთა იდეური და ესთეტიკური მნიშვნელობის გასათვალისწინებლად საკმარისია გავიხსენოთ რამდენიმე სტრიქონი ლექსიდან „ხაბჭოთა მეომარი ბერლინში“:

შენს თვალში ყანა ლაღნებს
მწიფე,
ალებ მშვიდობის გზაზე
ალაყაფს,
შენი ხელია მომავლის კიბე
და ხელს მერმისში ბავშვი
გადაპყავს.
სამშობლოს შუქი ვარშემო
გაკრავს,
მაბვილის ვადას მარჯვენა
ბლეკავს,
არწევ მომავლის უთვალავ
აკვანს
და წერ სახალხოდ მშვიდობის
გუჯარს.

ს. ჩიქოვანი მაღალი ინტელექტის, ფართო ერუდიციის, მრავალმხრივი მოქალაქეობრივი ინტერესების ხელოვანი იყო. იგი ზედიზედ ეცნობოდა კლასიკურ და თანამედროვე მხატვრობას, თეატრს, კინემატოგრაფიას.

მადლიერმა ქართველმა ხალხმა სიმონ ჩიქოვანს სამუდამო განსასვენებელი მიუნიანა მთაწმინდის დიდებულ სავანეში, ჩვენი ეროვნული კულტურის კორიფეების გვერდით. ეს გარემოება კი პოეტის ღვაწლის უმაღლესი სახალხო და სახელმწიფოებრივი აღიარებაა.

ბესარიონ ჟღენტი.

კომუნისტები

შოთა ნიშნიანიძე

I

რომ კომუნისტის სახელი გვერქვას,
ყველა როდი ვართ ღირსი,
დაფერილია ეს სიტყვა ყველგან
სისხლით, გმირული სისხლით.

თუ კომუნისტი გქვია სახელად,
ძალა არ არი შენი მომრევი,
შენ ხალხს ეკუთვნი არა ნახევრად,
არამედ
მთელი ცხოვრებით.

II

პრომეთემ ღმერთებს ცეცხლი წაჰგვარა
და ხალხს არგუნა სხვა მომავალი;
სწორედ შენა ხარ, რომ ვთქვათ სხვაგვარად,
მებრძოლი ღმერთის შთამომავალი...

ვერ დაიცავდა მაღალ ღირსებას,
მართალი რომ თქვას კაცმა, —
ვერ ივარგებდა კომუნისტებად
ხერხეულიძე ცხრა ძმა?

ან არაგველნი, ან გმირი ცოტნე,
ანდა დემეტრე თავდადებული...
ცოდვა კი არის, ღმერთმანი, ცოდვა, —
ადრე არიან დაბადებულნი.

სწორედ დღევანდელ დროს უპატაკებს
და გახლავთ ჩვენი თანამედროვე:
ჯოდანო ბრუნო...
ბულბა...
სპარტაკი...
ბიჭი გავროში...
ბერი თევდორე...

III

უბრალო კეპი... უბრალო პალტო...
შიმშილი... ომი... დრო რთულზე რთული...
ის გადიოდა კრემლიდან მარტო
და ბავშვებისთვის გაჰქონდა პური.

მისი სახელი ხალხში ამზევდა,
იცხოვრა, მოკვდა ხალხის გულისთვის.
აი ასეთი,
სწორედ ასეთი,
მხოლოდ ასეთი
მწამს კომუნისტი!

...რამდენი იყო ამ კაცის მოდგმის,
არ უღალატა თავის კაცობას,
შიგ პირში სთხრიდა კაზაკი კონდახს,
მაინც მღეროდა
„ინტერნაციონალს“.

სიმღერით, რწმენით გვალამაზებდა,
იცხოვრა, მოკვდა ხალხის გულისთვის,
აი ასეთი,
სწორედ ასეთი,
მხოლოდ ასეთი
მწამს კომუნისტი!

...ორმოცდაორის თოვლი წითელი...
ველზე გვთიბავდა ცეცხლი მყეფარე...
წამოდგა ვილაც ურმა პირტიტველა
და სიკვდილს მკერდით გადაეფარა.

ვაშა, დიდება ძეგლებს ასვეტილს...
იბრძოლა... მოკვდა ხალხის გულისთვის.
აი ასეთი,
აი ასეთი,
აი ასეთი
მწამს კომუნისტი!

სამშობლოს ბედი ბეწვზე ეკიდა...
ხიფათი მოსკოვს გარე უვლიდა...
არ გამოსულა იგი კრემლიდან
და არც გამოდის ხალხის გულიდან!

ის რკინის ნებას
ხალხს გადასცემდა,
იცხოვრა, მოკვდა ხალხის გულისთვის.
აი ასეთი,
დიახ ასეთი,
მართლაც ასეთი
მწამს კომუნისტი!

IV

მსოფლიო უსმენს კრემლის კურანტებს,
იმედით უმზერს კრემლის კარიბჭეს.
მშვიდობის გუგუნს მიაყურადე
და ახალ მიჯნებს გადააბიჯე!

მრავალი დგება მზის ამოსვლამდი
მინდვრის ოსტატი, დაზგის ოსტატი...
შენი ცხოვრებაც მხოლოდ ბრძოლაა
და იერიში, სულ იერიში.
არ შეუშინდე
ხიფათს გუშინდელს
და სროლასავით შედი მერმისში!

...რომ კომუნისტის სახელი გვერქვას,
ყველა როდი ვართ ღირსი.
დაფერილია ეს სიტყვა ყველგან
სისხლით, გმირული სისხლით.

მაშ გაუფრთხილდი მაგ წითელ მანდატს —
მზისა და დროშის პაწია ნაჭერს,
არ დაგავიწყდეს: შენ საჭეს მართავ,
ლეგენდარული კომუნის საჭეს!..

წერილი რედაქციას

საზოგადოებრივი ცხოვრებისა და მუშაობის გამაჯანსაღებელი, ნაყოფიერი ბაზა, რომლებიც ჩვენს რესპუბლიკაში უკანასკნელ ხანს მოხდა, ყოველი შემოქმედის წინ გარკვეულ ამოცანებს აყენებს — უფრო მეტი მომთხოვნელობით მოეკიდოს თავისი და თავისი კოლექტივის შრომას, კრიტიკულად შეაფასოს საკუთარი შესაძლებლობანი და შეუფარდოს ისინი საზოგადოების მოთხოვნებს, ასეთ პირობებში, ბუნებრივია, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კრიტიკას, — ჩვენი ნაკლისა და მიღწევების ობიექტურ, სერიოზულ და ღრმა შეფასებას. კანონზომიერია ისიც, რომ ეს კრიტიკა საჭიროების შემთხვევაში უნდა იყოს შეურიგებელი. მაგრამ რა მკაცრიც უნდა იყოს კრიტიკა, მისი მიზანი ყოველთვის კეთილშობილურია: მან უნდა აამაღლოს ჩვენი აქტიურობა და ენერგია შეცდომათა აღმოსაფხვრელად, მოგვეხმაროს უკეთესი ნაყარმოებების შექმნაში.

ამ თვალსაზრისით გვინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვათ ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ 1973 წლის მეორე ნომერში მოთავსებულ სარედაქციო წერილზე, „მოთხრობა და შესაძლებლობა“.

წერილის შესავალ ნაწილში სწორად არის განხილული ახლო წარსულში ჩვენში იდეოლოგიური მუშაობის ლენინური პრინციპების შეუფასებლობით გამოწვეული შეცდომები და დამაბინძურებანი, რასაც ხელოვნებაშიც ჰქონდა ადგილი. ეს საკითხების ის წრეა, რომლის მნიშვნელობა კარგად ემჩნევა ქართველ კინემატოგრაფისტებს.

მაგრამ ამასთან ერთად სარედაქციო წერილში ვხვდებით ჩვენი აზრით მთელ რიგ შესაფერ მტკიცებებს, ბალაჯარებებს და მიუღებელ ძარაბულ მინიშნებებს, რომლებიც არასწორად წარმოგვიდგენენ ქართული კინემატოგრაფიის ფაქტიური მდგომარეობის ზოგიერთ ასპექტს.

უმართებულოა ჟურნალის მტკიცება, თითქოს ჩვენში უკანასკნელ დრამდე „კინორეჟისორების ერთი ნაწილი ეძიებუჭებოდა სადღეისო მაღალ იდეებს და თავს არ იწუხებდა მისი მაღალი მსატვრული ფორმით გახსნაზე, მეორე ნაწილი კი, პირიქით, სავსებით გვერდს უქცევდა თემატიკის აქტუალობას, მხატვრული ნაწარმოებების იდეურობას და მთლიანად ეძღვნდა მხატვრული გამოსახველობითი ფორმის ტკვეობას“. ეჭვს გარეშეა, რომ კინოხელოვნება მთელ რიგ ნაწარმოებებს მოიკოკუნებს იდეური ან მხატვრული მხარე, ზოგჯერ კი ორივე ერთად, მაგრამ არ არსებობს საფუძველი კინოხელოვნებათა ასეთი ფინასწარი დაჯნშისათვის ორ პრინციპულად განსხვავებულ ჯგუფად, რასაც შეუძლია გამოიწვიოს მხოლოდ მათი დეზორიენტაცია და დაპირისპირება. დიდი ხანია ჩვენში აღარ მიმართავენ იარლიყების სელაღებით მიწებებების ასეთ წესს. პარტიამ დაგმო ამგვარი მეთოდები. და ეს ყველასთვის სავალდებულოა. კრიტიკა მომთხოვნი, პრინციპული, მაგრამ სამართლიანი და კეთილმოსურნე უნდა იყოს. სუსტი ფილმების გამოშვების შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს ამა თუ იმ კინორეჟისორის დაბალ იდეურ და პროფესიულ მომზადებასთან, დაბალ ოსტატობასთან, ცხოვრების არასაკმაო ცოდნასთან, ხოლო იდეური მხარის შენებულ უგულებელყოფაზე ლაპარაკისათვის ჟურნალს კონკრეტული საფუძველი მეთხოვება და არა ლეტონი სიტყვები.

წერილში ირონიულად არის მოხსენებული ქართული კინოს ეროვნული თვითმყოფობა, ეროვნული სკოლის ჩამოყალიბება და გადაკვრით ნახსენებია „ქართული ფილმის“ პროდუქციის უნიკალურობის რაღაც ყალი თეორია. ქართული საბჭოთა კინო ეროვნული იყო თავისი არსებობის პირველი წლებიდანვე და ასეთად რჩება ახლაც. საუკეთესო ქართული ფილმები სწორედ მაშინ შექმნილა ლეგენ ეროვნულ ინტერესებზე, ეროვნულ ფერებზე, ეროვნულ ტიპებზე, ეროვნულ ბუნებაზე, ეროვნულ ადამიანებზე, ეროვნულ ტრადიციებზე, ეროვნულ ენაზე, ეროვნულ ფოლკლორზე, ეროვნულ ფერწერულ ტრადიციებზე, ეროვნულ ეთიკურ ნორმებზე, ეროვნულ ფილოსოფიაზე, ეროვნულ ესთეტიკურ ფასეულობებზე, ეროვნულ ეროტიკაზე, ეროვნულ ... ეროვნულ ... ეროვნულ ...



ტურისტული ბილიკებით

დარიალის ლამაზ ხეობაზე გამავალი საქართველოს სამხედრო გზა სამართლიანად იზიდავს მოგზაურობის ათასობით მოყვარულს. თბილი დღეების დადგომისთანავე აქეთკენ მოაშურეს ტურისტთა ნაკადებმა.

ამ დღეებში გაიხსნა სეზონი და დამსვენებელთა პირველი ჯგუფი მიიღო ყაზბეგის მაღალმთიანმა ტურისტულმა ბაზამ, აქ ტურისტები რამდენიმე დღეს გაატარებენ, გაეცნობიან ისტორიულ ძეგლებს და რაიონის ღირსშესანიშნაობებს, მოაწყობენ ლაშქრობებს მთაში და სხვ.

საქინფორმის ფოტოკორესპონდენტი ბ. კიკვიძე ეწვია ყაზბეგის რაიონს და ფირზე ტურისტების დასვენების ორი მომენტი აღბეჭდა.

დროული დახმარება

იაპონიის თევზჭერი ტრაულერის „ტოიო მარუს" გემბანზე, რომლის ეკიპაჟიც ეწეოდა რეწვას თათრის სრუტეში, მოხდა უბედური შემთხვევა. ტროალის აწევის დროს მეზღვაურ კომუკაი ნეიძის დაუშავდა ფეხი. იაპონიის გემის კაპიტნის თხოვნით დაზარალებული მიიყვანეს ქალაქ ხოლმსკის მეზღვაურთა საავადმყოფოში.

ქირურგებმა ა. შეპილოვმა და ვ. ანტონოვმა მეთევზეს გაუკეთეს ოპერაცია. ავადმყოფი თავს უკეთ გრძნობს და მალე დაბრუნდება სამშობლოში. იაპონელმა მეზღვაურმა მადლობა გადაუხადა საბჭოთა ექიმებს. (საკადესის კორ.).

ისტორიამ შემოინახა

პორტუგალიური ცნობები ქეთევან წამებულის შესახებ

პორტუგალიაში გამოვიდა რობერტო გულბეკიანის წიგნი: „ლუის კერეირა დე ლასერდას და წმ. ავგუსტინის ორდენის პორტუგალიელი მამების გელიჩიორ დოს ანჯოს და გილერმ და სან